კრიპტოვალუტა, როგორც ანგარიშსწორების მეთოდი

სირაძე მარიამ

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ სირაძე

15/06/2023

აბსტრაქტი

კრიპტოვალუტის მასშტაბური განვითარება გახდა კერძო კვლევის ჩატარების უმთავრესი მიზეზი. ნაშრომის ძირითადი მიზანია იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ კრიპტოვალუტის ანგარიშსწორების მასშტაბურ მეთოდად ჩამოყალიბებაზე. ნაშრომში განხილული არის კრიპტოვალუტის, როგორც ანგარიშსწორების მეთოდის დადებითი მხარეები, ასევე ის დამაბრკოლებელი ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უშლიან მას მასშტაბურ მეთოდად ჩამოყალიბებაში.

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული არის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, ხოლო კვლევისადმი მიდგომა იქნება ინდუქციური. კვლევის პერიოდში გამოვიკითხე ერთ-ერთი ტრეიდერი, ასევე კრიპტოვალუტის კომპანიაში მომუშავე თანამშრომელი. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დავასკვენით, რომ კრიპტოვალუტა აუცილებელი ინსტრუმენტია ეკონომიკური განვითარებისთვის, მას შეუძლია გაამარტივოს უამრავი ოპერაცია და ტრანზაქცია და ამისათვის რამდენიმე წუთი იქნება საჭირო, ხოლო სხვა შემთხვევაბში ამ ტრანზაქციებს რამდენიმე დღე, ზოგჯერ კი ერთი კვირა ჭირდება. ასევე მოვახდინე უცხოური კომპანიების მაგალითზე დასკვნების გამოტანა, კერძოდ როგორ შეიცვალა მათი ფინანსური მდგომარეობა, ბალანსი, მოგება/ზარალი კრიპტოვალუტით ანგარიშსწორების შემოღების შემდეგ.

კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა ის ძირითადი დაბრკოლებები, რასაც შეიძლება აწყდებოდეს ნებისმიერი კომპანია კრიპტოვალუტის ანგარიშსწორების მეთოდად შემოღების დროს. პირველ რიგში, უმთავრესი პრობლემა არის ფასების სწრაფი ცვლილება, რომელიც რთული აღსაწერია კომპანიის ბალანსში, თუმცა კრიპტოვალუტის ერთ-ერთი კატეგორია, კერძოდ სტაბილური მონეტები დაგვეხმარება ამ პრობლემის თავიდან აცილებაში. ასევე უდიდესი პრობლემაა არაკონტროლირებადი ტრანზაქციები. კერძოდ ბლოკჩეინ სისტემაში ვერ ხერხდება ტრანზაქციების კონტროლირება. ცხადია ამ პრობლემების აღმოფხვრა გარკვეულ

დროს მოითხოვს, თუმცა კრიპტოვალუტას იმდენად დადებითი გავლენა ექნება როგორც კომპანიებზე, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა ცდილობს ამ პრობლემების სწრაფ აღმოფხვრას. ერთ-ერთი მაგალითი კი საქართველოა, რომელმაც პირდაპირი თანამშრომლობა გადაწყვითა ბაინანსთან და დიდ სიახლეებს გვპირდება.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა, ციფრული ვალუტა, ბლოკჩეინი, დეცენტრალიზებული ფინანსები, Peer-to-peer ტრანზაქციები, უსაფრთხო ტრანზაქციები, კრიპტოვალუტის საფულე, ტრანზაქციის საკომისიო, გლობალური ტრანზაქციები, ფინანსური ჩართვა, კონფიდენციალურობა და ანონიმურობა, ჭკვიანი კონტრაქტები, ძირითადი მიღება, გადახდების მომავალი.

Abstract

The large-scale development of cryptocurrency has become the main reason for conducting private research. The main goal of the paper is to identify the factors that influence the development of cryptocurrency as a large-scale payment method. The article discusses the positive aspects of cryptocurrency as a payment method, as well as the hindering factors that prevent it from becoming a large-scale method.

Quantitative research methods will be used to conduct the research, and the research approach will be inductive. During the research period, I interviewed one of the traders, as well as an employee working in a cryptocurrency company. From the information presented by them, we concluded that cryptocurrency is an essential tool for economic development, it can facilitate many operations and transactions and it will take a few minutes, while in other cases these transactions take a few days and sometimes a week. I also drew conclusions on the example of foreign companies, namely how their financial situation, balance sheet, profit/loss changed after the introduction of cryptocurrency payments.

Based on the results of the research, the main obstacles that any company may face when introducing cryptocurrency as a payment method were identified. First of all, the main problem is the rapid change in prices, which is difficult to describe in the company's balance sheet, but one of the categories of cryptocurrency, namely stablecoins, will help us to avoid this problem. Uncontrolled transactions are also a big problem. In particular, it is not possible to control transactions in the blockchain system. Obviously, the elimination of these problems will require some time, however, cryptocurrency will have such a positive impact on both companies and the economic situation that most states are trying to quickly eliminate these problems. One of the examples is Georgia, which has decided to cooperate directly with Binance and promises great news.

Key words: Cryptocurrency, Digital currency, Blockchain, Decentralized finance, Peer-to-peer transactions, Secure transactions, Cryptocurrency wallet, Transaction fees, Global

transactions, Financial inclusion, Privacy and anonymity, Smart contracts, Mainstream acceptance, Future of payments.